ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №59

05 მარტი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის სხივის“ (ს/კ - 242008796) დირექტორს შორის 2011 წლის 25 ნოემბერს დადებული თხოვების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაუქმდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური სხივის“ (ს/კ - 242008796) დირექტორს შორის 2011 წლის 25 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული სატრანსპორტო საშუალების: ა) ავტომანქანა ,,ფორდ ტრანზითი“; გამოშვების წელი - 1994; სახელმწიფო ნომერი - OBO 748; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა - LV0016889; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი - NWFOLXXGBVLRR41073.

   ბ) ტრაქტორ - ექსკავატორი, მოდელი ,,ამკოდორი 702“; გამოშვების წელი - 2007; სახელმწიფო ნომერი CA 538; შასის NY3a702EB10070013; ტრანსპორტის სარეგისტრაციო

NLV0008117; საბალანსო ღირებულება - 64 880 ლარი, თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის სხივი“-ს (ს/კ - 242008796) დირექტორმა (კახა ჯინჭარაძე) სარგებლობის უფლებით გადაცემული სატრანსპორტო საშუალებების დაბრუნება მოახდინოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, შესაბამისი ცვეთის გათვალისწინებით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძე).
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი *მიხეილ უნგიაძე*

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*